მუნიციპალური განვითარების ფონდი
აზიის განვითარების ბანკი (აგბ)

სესხი N 3063 - GEO: საქართველოს მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა

ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა პროექტის მენეჯერის პოზიციაზე
თბილისი- რუსთავის გზის პროექტისათვის (მონაკვეთები 1 და 3)
Ref. No: SUTIP3-IC-01-2014

პროექტი ფინანსდება საქართველოს მთავრობისა (სმ) და აზიის განვითარების ბანკის მიერ. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას

საქართველოს მთავრობამ მიიღო გზების განახლების გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ფარგლებში თბილისი-რუსთავის გზის მოდერნიზაცია პრიორიტეტულ პროექტად გამოაცხადა. პროექტი ითვალისწინებს თბილისსა და რუსთავს შორის არსებული 17.1 კილომეტრის სიგრძის, 2 ხაზიანი გზის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, „კატეგორია I“ -ის გზატკეცილად გარდაქმნას 4 სავალი ხაზითა და 100-120 კმ/სთ-ის სიჩქარისთვის გათვალისწინებული პროექტირებით. მოცემული გზა ასევე მოიცავს „საქალაქო ბულვარის“ მონაკვეთს შემცირებული დაშვებული სიჩქარის ლიმიტით. თბილისი-რუსთავის მონაკვეთი წარმოადგენს უფრო დიდი ზომის თბილისი -წითელი ხიდის (საზღვარი აზერბაიჯანთან) გზატკეცილის ნაწილს.

პროექტი ორ ძირითად მიზანს ემსახურება:
- ადგილობრივი და ურბანული მიზნები, რაც უკავშირდება თბილისსა და რუსთავს შორის ურბანული კავშირის გაუმჯობესებას;
- საერთაშორისო მიზანი, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, და შესაბამისად კასპიის ზღვისა (ბაქოს პორტი) და შავ ზღვის (ფოთისა და ბათუმის პორტები) კავშირების განმტკიცება.

თბილისი-რუსთავის გზის ურბანული პროექტი (მონაკვეთები I და III) განხორციელების პროცესშია და მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე დგას რიგი ტექნიკური და სხვადასხვა ყოველდღიური საკითხები. ამდენად დღის წესრიგში დგას პროექტის წარმატებისათვის საჭირო დროული გადაწყვეტილებების მიღების საჭიროება. ფონდის მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება პროექტის მენეჯერის დაქირავების შესახებ, რომელიც განახორციელებს მუნიციპალური განვითარების ფონდის სხვადასხვა ერთეულების, ინჟინრების, კონსულტანტებისა და კონტრატორების მიერ შესრულებული სამუშაოების კოორდინაციას.

მოცემული პროექტის ფარგლებში მგფ აცხადებს მოთხოვნას ინტერესტის გამოხატვაზე თბილისი-რუსთავის გზის პროექტისთვის (მონაკვეთები I და III) პროექტის მენეჯმენტის ფუნქციების შესასრულებლად *ადგილობრივი ინდივიდუალური კონსულტანტის* შერჩევის მიზნით.

პროექტის მენეჯერის პასუხისმგებლობა მოიცავს თბილისი-რუსთავის ურბანული პროექტის (მონაკვეთები I და III) ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების ზოგად მართვას პროექტის დიზაინისა და განხორციელების ჩათვლით, პროექტის ოპერაციების მართვას, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ამოცანებით: (i) ზოგადი მენეჯმენტი; (ii) დეტალური პროექტირების მენეჯმენტი და კოორდინაცია; (iii) კომუნიკაცია და გარემოსდაცვითი ერთეულების კოორდინაცია; (iv) სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგი.

მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების აღმოჩენის მიზნით, პროექტის მენეჯერს მოეთხოვება გარკვეული ხარისხის ავტონომიის პირობებში მუშაობა მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტთან დაკავშირებული პერსონალისა და რესურსების გამოყენებით. იგი პირდაპირ ანგარიშვალდებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის

მენეჯმენტის წინაშე. პროექტის მენეჯერს მოეთხოვება ინჟინრებთან, კონტრაქტორებთან, ფონდის ერთეულებთან და მუნიციპალური განვითარების ფონდის გზების საერთაშორისო ექსპერტთან მჭიდრო ხასიათის ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნება.

კონსულტანტს მუნიციპალური განვითარების ფონდი იქირავებს ინდივიდუალური კონსულტატის სახით უწყვეტი ფორმით. კონტრაქტის სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე.

სასურველი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- ბაკალავრის ხარისხი სამშენებლო ინჟინის, გზების მშენებლობის, მშენებლობის მენეჯმენტის, პროექტის მენეჯმენტის ან ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობით;
- სასურველია პროექტის მენეჯმენტის სფეროში ხარისხის ან შესაბამისი სერთიფიკატის ფლობა;
- FIDIC-ის წესების ცოდნას მიენიჭება უპირატესობა;
- დადებითად ჩაითვლება სამაგისტრო ხარისხის ფლობა;
- მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება სამშენებლო-საინჟინრო, გზების მშენებლობის ან პროექტირების, მშენებლობის მენეჯმენტის, პროექტირების მენეჯმენტის სფეროებში ან ამ ტიპის გამოცდილებათა თანხვედრა ძლიერი პასუხისმგელობით;
- გასული ხუთი წლის განმავლობაში პროექტის მენეჯერის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება სულ მცირე ორი ადგილობრივი მნიშვნელობის ან შესაბამისი ზომისა და ხასიათის პროექტებში;
- საერთაშორისო დონორებთან სამ წლიანი მუშაობის გამოცდილება;
- დონორებისა და კლიენტებისთვის ანგარიშების მომზადების გამოცდილება;
- პროექტების მონტორინგის, კონტროლისა და შეფასების სფეროებში გამოცდილება სასურველია;
- ინგლისური და ქართული ენების მაღალ დონეზე ფლობა (მეტყველებისა და წერითი უნარები);
- დადებითად ჩაითვლება გარემოსა და სოციალური დაცვის პოლიტიკის შესახებ ზოგადი ცოდნის ფლობა;
- კომუნიკაციის (ვერბალური და წერითი) კარგი უნარი და ძლიერი პიროვნებათაშორისი ურთიერთობების უნარები, ასევე გუნდში მუშაობის უნარი;
- მაღალი დონის ანალიტიკური და წერითი უნარები;
- შედეგებზე ორიენტაცია და მოთხოვნილი შედეგებისთვის დაწესებული მკაცრი ვადების შესრულების უნარი;
- MS ოფისის აპლიკაციების კარგი ცოდნა (Word, Excel), ელექტრონული ფოსტა/ ინტერნეტი;
- შეფასებისა და შესრულებული სამუშაოების მონიტორინგის პროცესში დახმარებისა და მხარდაჭერის აღმოჩენის გამოცდილება;
- ძლიერი მენეჯმენტისა და ლიდერობის უნარები, რთულ სიტუაციებში პროფესიონალურად და დამაჯერებლად მოქმედების უნარების ჩათვლით;
- ინგლისური ენის მაღალ დონეზე ფლობა.

დაინტერესებულ ინდივიდუალურ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ შესყიდვების სამმართველოს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 09:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე. საკონტაქტო ტელეფონი: (+99532) 243 70 01, შიდა ნომერი: 409, ქ-ნი მარი ჯანგულაშვილი, შესყიდვების სპეციალისტი.
ინტერსის გამოხატვის ბოლო ვადა: **17:00 სთ, 2014 წლის 7 ნოემბერი.**

დაინტერესებულმა პირებმა ინტერესი უნდა გამოხატონ შემდეგი ლინკის მეშვეობით:

https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_HOME_PAGE

აზიის ბანკის ინსტრუქციების შესაბამისად:
(https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/adb/adbpos/jsp/ADBCMSLogin.jsp